ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის

სხდომის ოქმი № 6

15 დეკემბერი 2017 წ ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი # 2

12:00 სთ

მოწვეული სტუმრები

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი- გაიოზ თალაკვაძე

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე -ლევან მიქავა

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი- ირაკლი თავართქილაძე

ჯანდაცვი ს და სოციალური მომსახურების სამსახურის უფროსი -გელა ჩივიაშვილი

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი-გიგა გიგაშვილი

კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი- გივი კუბლაშვილი

ააიპ „განვითარების ფონდის" დირექტორი- გიორგი ბაინდურაშვილი

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კოისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ :

1. კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი ზარქუა

2. კომისიის წევრები: ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე; რამინა ბერაძე; თემურ გორგაძე, ალექსანდრე ხუჯაძე,დავით უთმელიძე, ლევან დარახველიძე.

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრთა უმრავლესობა.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, გააცნო მათ და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ.

(08.12.2017წ. №12-031734272-03)

2. ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლების III მიკრორაიონის კორპუსი №4-ში (საკადასტრო კოდი: №01.18.13.022.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

(12.12.2017წ; №12-03173461-03)

3 ქალაქ თბილისში, ბეჟან კალანდაძის ქუჩა №6-ში (საკადასტრო კოდები: №01.18.01.002.007.01.015 და №01.18.01.002.007.01.007) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

(12.12..2017წ; №12-03173461-03)

4, ქ.თბილისში, მელაანის ქუჩის III შესახვევის №34ა-ს მიმდებარედ, 3 კვმ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.08.042.030) ნაზი დანელიასთვის (პ/ნ 01023000067) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე. (12.12..2017წ; №12-03173461-03)

5. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში არსებული 2240 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.19.30.011.002) სსიპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე (03.11.17 №12-031730729-03)

6. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3642 კვ.მ (ნაკვეთი 05/058) (საკადასტრო კოდი: 01.10.08.005.058) მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისათვის/მათი წარმომადგენლებისათვის, უფლებამონაცვლეებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე (03.11.17 №12-03173171-03)

7. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და შპს „კონსალტინგ გრუპს" (ს/კ 4339402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამო დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „კონსალტინგ გრუპის" (ს/კ 4339402843) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე (13.11.2017 №12-03173172-03).

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ფ/პ თენგიზ ჩადუნელს (პ/ნ 01006018902) (უფლებამონაცვლე: შპს „ეს-ემ-ი ჯგუფი" ს/ნ: 405187471) შორის 2017 წლის 25 იანვარს გაფორმებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის Nე-339-1-20540 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამო 2017 წლის 25 ოქტომბრიდან 2018 წლის 25 იანვრამდე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „ეს-ემ-ი ჯგუფის" (ს/კ 405187471) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე (13.11.2017 №12-03173172-03).

ირაკლი თავართქილაძემ სთხოვა სხდომის თავმჯდომარეს დღის წესრიგიდან ამოეღოთ მეოთხე საკითხი.

სხდომის თავმჯდომარეს კენჭი უყარა წინადადებას.

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა რიგით მეოთხე საკითხის გარეშე.

მოისმინეს გაიოზ თალაკვაძის მოხსენება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით.

წარმოდგენილი პროექტით თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 861 609,0 ათასი ლარით და პირვანდელ ვარიანტთან შედარებით გაზრდილია 46 398.9 ათასი ლარით, რაც ძირითადად გრანტების წილად მოდის (გათანაბრებითი ტრანსფერი - 3 298.9 ათასი ლარი და სპეციალური ტრანსფერი - 43 000,0 ათასი ლარი). აღნიშნული თანხა მთლიანად მოხმარდება გუდიაშვილის და ორბელიანის მოედნების რეაბილიტაციას. შემოსულობების შესაბამისად გაზრდილია ბიუჯეტის გადასახდელები და შეადგენს 861 609,0 ათასი ლარს. პრიორიტეტების მიხედვით:

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და განვითარება - 130 531,3 ათასი ლარით. პრიორიტეტი ითვალისწინებს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთების ქვეპროგრამებს, რომლისთვისაც გათვალისწინებულია სულ 95 926,5 ათასი ლარი. ტრანსპორტის განვითარების პროგრამისათვის გათვალისწინებულია 34 604,8 ათასი ლარი, პრიორიტეტში გათვალისწინებულია მეტროს სადგურების ზედა და ქვედა ვესტიბიულების კაპიტალური შეკეთების სამუშაოები.

ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - 195 642,1 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ორბელიანის მოედნისა და მიმდებარე სახლების რეაბილიტაცია, ასევე, მშრალი ხიდისა და გუდიაშვილის მოედნის რეაბილიტაცია. გაგრძელდება უკვე დაწყებული პროექტების დაფინანსება, როგორიცაა ისტორიულ-კულტურული ძეგლების და სხვა შენობების რეაბილიტაცია. პროგრამა საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია (კოდი 02 01) გათვალისწინებულია 28 497,3 ათას ლარი. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ბინათმშენებლობა და ვარიული შენობების გამაგრების პროგრამა, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცის პროგრამა სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობის პროგრამა, კეთილმოწყობის ღონისძიებების პროგრამა.

ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 88 089.3 ათასი ლარი. მათ შორის გამწვანების ღონისძიებებისათვის (კოდი 03 01) გათვალისწინებულია 20 136.4 ათასი ლარი, რაც 2017 წელთან შედარებით 6 411,4 ათასი ლარით მეტია. გაზრდილია პროგრამა დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02), როგორც 2017 წელთან (7,2 მლნ ლარით), ასევე პირველად წარდგენილ ბიუჯეტთან შედარებით (3 მლნ ლარით). პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ. თბილისის მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე მე-3 უჯრედის მშენებლობისთვის 6 000,0 ათასი ლარი და საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის პოლიგონის წყალგამწმენდი დანადგარის შესაძენად 2 000,0 ათასი ლარი. ასევე საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის პოლიგონისათვის ნაგვის სატკეპნი დანადგარის შეძენა. თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობის პროგრამისთვის (კოდი 03 03) გათვალისწინებულია 5 952,9 ათასი ლარი.

ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 2 990,0 ათასი ლარი. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი პროგრამები: ბიზნესის სტიმულირება, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები, თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში, მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია, ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება და პროგრამა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა“.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება 29 925,7 ათასი ლარით, მათ შორის გლდანის რაიონში 2 180,0 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონში - 2 900,0 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში - 3 098,0 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში 3 458,0 ათასი ლარი, ვაკის რაიონში - 2 758,0 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში - 3 400,0 ათასი ლარი, ისნის რაიონში - 3 350,0 ათასი ლარი, სამგორის რაიონში - 2 644,0 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში - 2 484,7 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში - 3 653,0 ათასი ლარი.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 189 539,5 ათასი ლარი. პრიორიტეტის ფარგლებში ჯანდაცვის პროგრამისათვის განსაზღვრულია 47 694,0 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ ტრანსპლანტაციის ქვეპროგრამა ბიუჯეტის პირველად პროექტთან შედარებით იზრდება 2 მლნ ლარით და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის გარდა ითვალისწინებს ღვიძლის ტრანსპლანტაციის კომპონენტსაც. ასევე დაავადებათა სკრინინგის პროგრამას ემატება ფარისებრი ჯირკვლის სკრინინგი. გრძელდება „c" ჰეპატიტის დიაგნოსტიკის, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება და ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ქვეპროგრამები. სოციალური დაცვის პროგრამები წარმოდგენილია სულ 141845,5 ათასი ლარით.

განათლება 117 445,6 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობას 101 055,8 ათასი ლარის ოდენობით. პროგრამის ფარგლებში 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 11 ახალი ბაღის მშენებლობის დასრულება და 10 ახალი ბაღის პროექტირება-მშენებლობის დაწყება. პრიორიტეტის ფარგლებში აგრეთვე გათვალისწინებულია ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე და სხვა.

კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა 78 954,0 ათასი ლარით. ბიუჯეტის პირვანდელ ვარიანტთან შედარებით 1 745,9 ათასი ლარით გაზრდილია სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (კოდი 08 06).

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 3 158.3 ათასი ლარი. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება პროგრამა ცხოველთა მონიტორინგი (კოდი 09 02).

ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 75 333,3 ათასი ლარი.

ბიუჯეტის წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს: ირაკლი ნადირაძემ, ირაკლი ზარქუამ, რამინა ბერაძემ, გიორგი გაბაშვილმა.

კომისიის წევრებს ჰქონდათ გარკვეული წინადადებები და კითხვები. შეკითხვები ეხებოდა შრომის ანაზღაურების მუხლს, ბაღების სუბსიდირებას, შეკითხვები ეხებოდა ასევე მეტროს სადგურების და მეტროს ვაგონების რეაბილიტაციის, კომუნალური სუბსიდიის პროგრამას. გიორგი გაბაშვილის წინადადებით კარგი იქნება თუ კომუნალურ სუბსიდიას დაემატება გაზის კომპონენტიც ლიმიტის ფარგლებში. რამინა ბერაძემ კი აღნიშნა, რომ შემდგომში ბიუჯეტში ცვლილებების დროს კარგი იქნება, თუ თბილისის მთავრობა გაითვალისწინებს უფასო სასადილოების პროგრამისათვის დამატებით თანხებს, ვინაიდან ამ პროგრამით მოსარგებლე მომლოდინე ბენეფიციართა რაოდენობა საკმაოდ დიდია. კომისიის წევრებს შეკითხვებზე პასუხები გაეცათ საქალაქო სამსახურის წარმომადგენლების მიერ.

შეკითხვების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.

მომხრე- 8, წინააღმდეგი გიორგი გაბაშვილი, ირაკლი ნადირაძე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი კომისიის წევრების უმრავლესობის მიერ შეფასდა დადებითად და რეკომენდაცია მიეცა საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლების III მიკრორაიონის კორპუსი №4-ში (საკადასტრო კოდი: №01.18.13.022.003) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე

მომხსენებლის განმარტებით, კრწანისის რაიონის გამგეობის შუამდგომლობით, 5 მოქალაქეს პირდაპირი განკარგვის ფორმით, პრივატიზებით სიმბოლუ ფასად გადაეცემათ ფართები ფონიჭალის დასახლების მე-3 მ/რ-ის №4 კორპუსში.აღნიშნულ ფართებს ისინი ფლობენ დიდი ხნის განმავლობაში.

მომხრე-8 წინააღმდეგი - გიორგი გაბაშვილმა, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეფასა და მოზანშეწონილად მიიჩნია საკიხთხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, ბეჟან კალანდაძის ქუჩა №6-ში (საკადასტრო კოდები: №01.18.01.002.007.01.015 და №01.18.01.002.007.01.007) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

მომხსენებელი-ირაკლი თავართქილაძე

ირაკლი თავართქილაძის თქმით ორ მოქალაქეს , რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობს ბეჟან კალანდაძის ქუჩა #6-ში მდებარე უძრავ ქონებაში, კრწანისის რაიონის შუამდგომლობით სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად გადაეცემათ ფართები.

მომხრე-8 თავი შეიკავა - გიორგი გაბაშვილმა, ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეფასა და მოზანშეწონილად მიიჩნია საკიხთხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში არსებული 2240 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.19.30.011.002) სსიპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიისთვის (ს/კ 204395537) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისა და შესაბამისი ხეშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, თბილისის მუნიციპალიტეტის მერს 2017 წლის 25 სექტემბერს წერილით მიართა კათალიკოს პატრიარქის მდივანმა, დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა და ითხოვა სამგორის რაიონში არსებული 75820 კვმ მიწის ნაკვეთიდან, 2240 კვმ მიწის ნაკვეთის სსიპ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიისთვის საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში ეკლესიის მშენებლობის მიზნით.სსიპ ქონების მართვის სააგენტომ გამიჯნა #01.19.36.04.971 საკადასტრო ერთეულიდან 2240კვმ მიწის ნაკვეტი, რომელიც დარეგისტრირდა №01.19.30.011.002 საკადასტრო კოდით.

მომხრე-8 გიორგი გაბაშვილმა და ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეფასა და მოზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3642 კვ.მ (ნაკვეთი 05/058) (საკადასტრო კოდი: 01.10.08.005.058) მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრებისათვის/მათი წარმომადგენლებისათვის, უფლებამონაცვლეებისათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს ეთხოვა, უზრუნველყოს კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრებისთვის განსაზღვრული უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად საკუთრებაში გადაცემა, მათ მიმართ არსებულ ან შესაძლოდ გამოვლენილ სახელმწიფო საშინაო ვალზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ უფლებასა და მოთხოვნაზე მათი მხრიდან უარის თქმის სანაცვლოდ. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქონების მართვის სააგენტოს 2016-2017 წლებში განცხადებებით მიმართეს ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის (№654;632;646;629;657;656;653;650) სულ 19 -მა წევრმა და ითხოვეს ქ. თბილისში საბურთალოს რაიონში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3642კვ.მ (ნეკვეთი05/058) (საკადასტრო კოდიN01.10.08.005.058) ქონების საკუთრებაში გადაცემა. არქიტექტურის სამსახურმა, ფუნქციური ზონის შესაბამისად ქალაქგეგმარებით თვალსაზრისით, შესაძლებლად მიაჩნია 01.10.08.005.058 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების სამშენებლო განვითარება.

მომხრე-9 გიორგი გაბაშვილმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეფასა და მოზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და შპს „კონსალტინგ გრუპს“ (ს/კ 4339402843) შორის 2017 წლის 31 მაისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამო დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „კონსალტინგ გრუპის“ (ს/კ 4339402843) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საკითხის კომისიის წევრებს გაცნო ირაკლი თავართქილაძემ. 2017 წელს სსიპ-ქონების მართვის სააგენტოსა და აუქციონში გამარჯვებულ პირს -შპს „კონსალტინგ გრუპს“ შორის გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება, აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იყო: ა) განეთავსებინა რეტერატ(ებ)ი (საზოგადოებრივი საპირფარეშო) იჯარის ხელშეკრულების დაწართი 2-ით გათვალისწინებული რენდერის შესაბამისად და გაეშვა ექსპლუატაციაში წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვის ვადაში. ასევე უნდა უზრუნველყო იჯარით აღებული ტერიტორიისა და რეტერატის (საზოგადოებრივი საპირფარეშო) მოვლა-პატრონობა და სანიტარულე-ჰიგიენური პირობების დაცვა . ქონების მართვის სააგენტოს განცხადებით მიმართა შპს „კონსალტინგ გრუპმა“ და აღნიშნა, რომ რეტერატების განთავსება საჭიროებს კანალიზაციის და წყლის ძილების ძიყვახას და ინსტალაციას, რის გამოც მან მიმართა შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“, თუმცა კომპანიამ ტექნიკური პრობლემების გამო ვერ შეძლო სამუშაოების შესრულება და მოითხოვა იჯარის ხლშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების გადავადება მაქსიმალური ვადით და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან“ ვადების დაზუსტებაში დახმარების გაწევა. მოიჯარემ დამატებით წარმოადგინა შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ წერილი, რომლის თანახმადაც , შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ ადასტურებს, რომ რეტერატებისთვის მოსაწყობი განშტოებების მონტაჟი გარკვეული მიზეზების გამო ვერ მოხერხდა შემდეგ მისამართებზე: დადიანის ქუჩის მიმდებარედ წყალსადენ-კანალიზაციის განშტოებები, ელიავას ბაზრობის მიმდებარედ და სადგურის მოედანზე წყალსადენის განშტოებები. საკითხი განიხილა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ“ შექმნილმა კომისიამ და კერძო და საჯარო ინტერესების პროპორციულობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად ჩათვალა დამატებითი ვადის 2017 წლის 30 ნოემბრიდან 2018 წლის 31 ივლისამდე განსაზღვრა და აღნიშნულ პერიოდზე ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.7 პუნქტის საფუძველზე დარიცხული/დასარიცხი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება.

მომხრე-8 ირაკლი ნადირაძემ და გიორგი ვაბაშვილმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეფასა და მოზანშეწონილად მიიჩნია საკიხთხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და ფ/პ თენგიზ ჩადუნელს (პ/ნ 01006018902) (უფლებამონაცვლე: შპს „ეს-ემ-ი ჯგუფი“ ს/ნ: 405187471) შორის 2017 წლის 25 იანვარს ვაფორმებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის №-339-1-20540 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის გამო 2017

წლის 25 ოქტომბრიდან 2018 წლის 25 იანვრამდე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „ეს-ემ-ი ჯგუფის“ (ს/კ 405187471) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის განმარტებით, აუქციონში გამარჯვებულ თენგიზ ჩადუნელს, 10 წლის ვადით იჯარით გადაეცა ლუბლიანას ქუჩა №15-ში მდებარე 1508 კვმ მიწის ნაკვეთი, რომელზეც საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით უნდა მოეხდინა 200 კვმ მიწის ნაკვეთზე დროებითი, საძირკვლის არქმქონე ერთსართულიანი მსუბუქი კონსტრუქციის განთავსება და უნდა განეხორციელებინა 75000 ლარის ინვესტიცია. დარჩენილ ტერიტორიაზე უდა მოეწყო საზოგადოებრივი სარგებლობის პარკი ხე ნარგავების შენარჩუნებით.თენგიზ ჩადუნელს ჩაენაცვლა შპს „ეს-ემ-ი ჯგუფი“, რომელმაც არქიტექტურის სამსახურს წარუდგინა პროექტი და გადაიხადა დაჩქარებული მომსახურების საფასური 800 ლარი.მიუხედავად ამისა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გამოცემას მეტი დრო ფასჭირდა. კომპანია საიჯარო ქირას იხდის დროულად და ითხოვს ვალდებულების შესასრულებლად განსაზღვრული ვადის გაგრძელებას. კომპანიას ეძლევა დამატებითი ვადა 2018 წლის 25 იანვრამდე და თავისუფლდება 217 წლის 25 ოქტომბრიდან 2018 წლის 25 იანვრამდე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან, მაგრამ 25 ოქტომბრამდე დაკისრებულ პირგასამტეხლოს 6900 ლარს გადაიხდის 1 წლის განმავლობაში თანაბარწილად.

საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრებს შეკითხვები არ ქონდათ

მომხრე-8 ირაკლი ნადირაძემ და გიორგი გაბაშვილმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეფასა და მოზანშეწონილად მიიჩნია საკიხთხის საკრებულოს სხდომაზე გატანა.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ზარქუა